ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1602434

ნომერი: AR1263530

თარიღი : 05.11.2014

გაცემის თარიღი : 19.11.2014

გაცნობის თარიღი : 20.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ილია ვეკუა , N 51 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ თავაძე პ/ნ 01020002504
- თბილისი შ.მიქატაძის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე პირველი კლასის სარეკლამო კონსტრუქციისა და აბრის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ილია ვეკუას ქ. #51–ში, შპს "ორიგინალი+"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო კონსტრუქციისა და მასზე ბანერის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები N 01.11.12.014.050; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ილია ვეკუას ქ. #51–ში, შპს "ორიგინალი+"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო კონსტრუქციისა და მასზე ბანერის მოწყობის შესაძლებლობას

აქვე გაცნობებთ, რომ უზრუნველყოფილი უნდა იქნას სარეკლამო კონსტრუქციის კონსტრუქციული მდგრადობა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ შემდგომში სარეკლამო კონსტრუქციაზე განსათავსებელი სარეკლამო ბანერის ვიზუალი აუცილებლად უნდა შეათანხმოთ არქიტექტურის სამსახურთან.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.